სამშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 12 (25) № 200
წელიწადი მესამე
სამშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 12 (25) № 200
ფასი 15 კაპ.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

ინგლისელებმა ბელგეთში დიდი შეტევა დაიწყეს.

გერმანელებმა რუსეთში შეტევა განაახლეს. რუსის ჯარი დვინის მარჯვენა ნაპირზე გადადის.

პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარედ, ჩხეიძის მაგიერ—ბოლშევიკი ფედოროვი გაიყვანეს.

ბოლშევიკების გამარჯვების გამო მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი ორგანო გადადგა.

ყუბანის ყაზახობა დონს მხარს უჭერს.

კოსტრომის გუბერნიაში გლეხები ნიკოლოზის სურათით დადიან.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი გენერალი ალექსეევი გადადგა.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატა ზავის საკითხს იხილავს.

გამოქვეყნდა გერმანეთის პასუხი პაპის საზავო ნოტაზე.

### წერილები

გერონტი ქიქოძე. ეროვნული საბჭო.

რ. ინგილო. საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია.

კორესპონდენცია: ქართლიდან.

საქართველოს საეკლესიო კრების ანგარიში.

საქართველოს ინტერპარტიული ეროვნული საბჭოს ცნობა.

გაზეთ „საქართველოს" კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

სამშაბათს, 12 ენკენისთვეს სოფელ ბაკურციხეში გადახდილი იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვლილი თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მე-6 კლასის მოწაფის

**ალექსანდრე (სანდრიკო) გიორგის ძე**

**ვაჩნაძისა**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მის ამხანაგებს მწუხარე მშობლები გიორგი და ელენე ვაჩნაძეები.

1—780—1

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—19)

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გაღარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ზერქვზოვსკის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ჭიათურის მოქალაქენო!

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას

# № 4

1. პაპავა ბარნაბა ამბაკოს ძე—სამთამადნო ინჟინერი.
2. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე—შავი ქვის მრეწველი
3. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე—ინჟინერ-კომერსანტი.
4. ზხალაძე მარკოზა იოსების ძე—ვაჭარი.
5. აბულაძე დავით თემურაზის ძე—შავი ქვის მრეწველი.
6. ბერიძე ილარიონ დავითის ძე—შავი ქვის მრეწველი.
7. ჩიხლაძე სიმონ დიმიტრის ძე—ვაჭარი ხე-ტყის.
8. აბაშიძე ჯიბო იოსების ძე—შავი ქვის მრეწველი.
9. ლეჟავა ანტონ პეტრეს ძე—სახლის მეპატრონე.
10. აბულაძე ვასილ ნიკოლოზის ძე—ბროკერი.
11. გვასალია ვარლამ სტეფანეს ძე—ვაჭარი.
12. ბურჯანაძე ამბაკო ბესარიონის ძე—სასამართ. მოხელე.
13. იაკობაშვილი ევგენი იოსების ძე—ნოტარ. თანაშემწე.
14. ქუმარავა რაჟდენ კონსტანტინეს ძე—ვაჭარი.
15. კოხრეიძე ილარიონ იაკობის ძე—ვაჭარი.
16. წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე—შავი ქვის მრეწველი
17. უიფიანი კონსტანტინე აპოლონის ძე—შავი ქვის მრეწველი
18. დეკანოზიშვილი ირაკლი გრიგოლის ძე—ტეხნიკი.
19. შავგულიძე ვარლამ—ტეხნიკი.
20. ბარათაშვილი ივანე მიხეილის ძე—შავი ქვის მრეწველი

ბაქოში დაარსდა

**ქართული ნავთის სამრეწველო და სავაჭრო სააქციონერო საზოგადოება**

რომელმაც სრულ თავის საკუთრებად შეიძინა და 1 ენკენისთვიდან განაგრძობს ქართულ ნავთის სამრეწველო ამხანაგობის ნავთიან ადგილების დამუშავებას (სოფ. ბალახანა, ბაქოს მაზრა, სახაზინო მიწა № 16—ბ.) საზოგადოების წესდება დამტკიცებულია ამ წლის 5 აპრილს და ძირითადი თანხა ხუთი მილიონი მანეთი (5,000,000 მან.) უკვე შევსებულია. 31 მარიამობისთვეს აქციონერთა საზოგადო კრებაზე ამორჩეულ იქმნა გამგეობა: ლევან ქაიხოსროს ძე მამულაიშვილი (თავმჯდომარე), თავადი იოსებ იულონის ძე დადიანი და მარიამ ნიკოლოზის ასული მამულაიშვილისა. კანდიდატად: კნეინა თამარა გრიგოლის ასული დადიანისა და სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. ს. თვალავაძე (თავმჯდომარე), რ. ყ. დათეშიძე, ა. ნ. კანდელაკი, ა. ლ. ვოლფი და პ. ბ. კრიშტული. საზოგადოების კონტორა მოთავსებულია ბაქოში, ვორონცოვის ქუჩა № 4.

ქართული ნავთის სამრეწველო და სავაჭრო-საქციონერო საზოგადოების გამგეობა.

1—765—1

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

ექიმის თანაშემწე

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

16—748—თ.

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი

**შ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი

**გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ. № 86, მეორე სართული.

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირასი საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—14

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროვსკის ქუჩა № 7.

დარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თ.-აზნაურთა საზოგადო. წევრთა

## საგანგებო კრება

დანიშნულია 15 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში.

**კრების საგანი:** საკითხი გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობისა და სწავლის ფულის მომატების შესახებ, მიმდინარე საქმეები და გამგე კომიტეტის.

ეს კრება, როგორც მეორედ დანიშნული, კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

(3—764—1)

## ეროვნული საბჭო

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შინაგანს ცხოვრებაში არც ერთს მოვლენას არა აქვს მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ეროვნული ან პარტიათაშორისო საბჭოს დაარსებას, რაიცა ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა თბილისში. ეს პირველი შეგნებული ცდაა ეროვნულ ძალთა თავმოყრისა და შეთანხმებისა, და ეს ცდა მით უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანია, რომ მასში მონაწილეობას იღებენ ყველა მომქმედი ქართული პარტიები სოციალ-დემოკრატიიდან დაწყებული ეროვნულ დემოკრატიამდე.

ჩვენი სამშობლო იძენს პოლიტიკურ ცენტრს, რომელსაც ის მოკლებული იყო დიდი ხნის განმავლობაში. მართალია ეს ცენტრი ჯერ კიდევ სუსტია, ჯერ კიდევ ძლიერია გამთიშავი ძალები, მაგრამ რაკი ერთხელ გაერთიანების პროცესი დაიწყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ის აღარ შეჩერდება შუაგზაზე. პოლიტიკურად მოაზროვნე ქართველობა უნდა შეთანხმდეს იმ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე, რომელიც ყოველმხრივ ემუქრება ჩვენს სამშობლოს. ამას ითხოვს თვითდაცვის ინსტინქტი, რაიცა ყოველს პარტიულს დოგმაზე უფრო ძალოვანია. ამას ითხოვს ფხიზელი პოლიტიკური შეგნებაც, რომელიც ყოველ უმცირეს რეალურ ძალას უნდა უწევდეს ანგარიშს.

უკუღმართი ტრადიციები და უნიადაგო ილუზიები ასუსტებენ ჩვენში ეროვნული შეთანხმებისა და გაერთიანების სურვილს. ხანგრძლივმა საუკუნეებმა ბეჩავი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. დიდი ხანია რაც ქართველობას ერთად არ უვლია. გადაუჭრელად კიდეც მწყობრ რაზმების იერიშის მიტანას. ტომობრივმა და თემობრივმა დაქსაქსულობამ ჩვენში გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი აღზარდა. ჩვენმა სამშობლომ ვერ მოასწრო შინაგანი თანდათანობითი განვითარების შემწეობის გაერთიანება, ქართველობა იმ უბედურ ერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ტერიტორიალურად და პოლიტიკურად უცხო, გარეშე ძალამ შემოკრიბა.

ბუნებრივია, რომ ჩვენ დღესაც გადამეტებული იმედი გვაქვს ამ უცხო ძალებისა. ჩვენს შორის ბევრს შეურყევლად სწამს, რომ დღევანდელი რუსეთი დაამთავრებს გუშინდელი რუსეთის მიერ დაწყებულ საქმეს და რუსის დემოკრატია გაანთავისუფლებს საქართველოს, რომელიც რუსის იმპერიამ გააერთიანა.

დიდათ საეჭვოა, რომ სავსებით საფუძვლიანი იყოს ეს გადამეტებული იმედი: როგორც დასავლეთი ევროპის გაკვეთილიდან ვიცით, დემოკრატიის ბატონობა სრულიადაც არ ჰგულისხმობს იმპერიალიზმის უარყოფას. პირიქით სწორედ დემოკრატიის ნიადაგზე იშლება მძლავრად მებრძოლი ნაციონალისტური პოლიტიკა. ეს ჭეშმარიტება ჯერ-ჯერობით არ დაურღვევია არც რუსეთის რევოლუციას. ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ადამიანები, რომელნიც დიდს ავანსებს იძლეოდნენ სანამ უპასუხისმგებლო ოპოზიციაში იდგნენ, სამინისტროს დარბაზში ადვილად ივიწყებდნენ ამ ავანსების განაღდებას და ყველა ძველი თუ ახალი ვალების გადახდას გონებამახვილად მომავალ დამფუძნებელ კრებას ანდობდნენ.

ჩვენ არ ვიცით როდის შეიკრიბება ეს დამფუძნებელი კრება, ან როგორი ხასიათის იქნება მისი შემადგენლობა. ამიტომ ჩვენი ეროვნული ნების-ყოფა არ უნდა მოდუნდეს არავითარ შემთხვევაში. უეჭველია, რომ თვით უკიდურესი დემოკრატიული და სოციალისტური დამფუძნებელი კრება მხოლოდ რეალურ ძალებს გაუწევს ანგარიშს და მათდა მიხედვით გაანაწილებს ცხონებასა და წაწყმედას. ესეც არ იყოს საქართველოს ფიზიკური და პოლიტიკური არსებობის საკითხი შეიძლება უფრო ადრე დაისვას ვიდრე გვგონია. ჩვენი პატარა ქვეყანა დღეს სტიქიონური ძალების ანაბარად დარჩენილი. შეიძლება შიმშილმა მოგვცელოს ან მტრული ჩექმების ქუსლებმა გადაგვთელოს. შემდეგ ენამჭევრი ორატორები ვეღარ გვიშველიან რუსეთის პარლამენტში.

ასეთი მდგომარეობა ქართველ პოლიტიკურ მეთაურებს ერთად ყოფნას ავალებს. მოვიდა დრო, როცა ჩვენში უნდა ვსძლიოთ დამღუპველი ფსიხოლოგია ბიზანტიელებისა, რომელნიც ანგელოსთა არსების გამო კამათობდნენ გაშმაგებით, როცა ოსმალოს იანიჩარების რაზმები კონსტანტინოპოლის კედლებს უახლოვდებოდნენ.

გერონტი ქიქოძე.

## საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია

საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ცხოვრების პირველ საორგანიზაციო ხანამ განვლო. ამ დროის განმავლობაში ეკლესიის თავისუფლების გამოცხადების დღიდან საეკლესიო მართველობას დროებითი ხასიათი ჰქონდა. მართველობის დროებითი და ასე ვსთქვათ შემთხვევით მომენტში იმყოფებოდა მისი სუსტი და მასთანავე ძლიერი მხარეც. პირველი გამოიხატებოდა იმაში, რომ მართველობა, რომელსაც აკლდა ქართველი ერის სანქცია და დადასტურება, ნაკლებ გაბედულათ მოქმედებდა; მისი მოღვაწეობა მოკლებული იყო ერთგვარ გასაქანს, რომელიც მას მისცემდა ფრიად გარკვეულ სახეს და მის დადგენილებებს აღიყვანდა იმპერატიულ მნიშვნელობამდე. მისი სიძლიერე და დადებითი მხარე-კი იმაში გამოსჭვიოდა, რომ მართველობასთან შემოკრბა ის ნაწილი ჩვენი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომელიც მუდამ ჟამს იჩენდა დიდ ინტერესს საეკლესიო საკითხებში და თვალსაჩინო ღვაწლიც მიუძღვის ივერიის ეკლესიის აღორძინების საქმეებში. შეძლებისამებრ ცდილობდენ თვისი მოქმედება შეეთანხმებინათ ქართველი ხალხის კატეგორიულ ნებასთან და საქართველოს ეკლესიის ჩვეულების და კანონების მიხედვით ეხელმძღვანელათ იმ ყოვლად

დასაძრახ ვაჭრობაში, რომელიც ჩვენი ეკლესის საკითხის მოწესრიგებაში გამოიჩინა რუსეთის მთავრობამ და სინოდმა.

დღეს ზოგიერთნი იკითხავენ: რა უფლებით განაგებდა ეკლესიას დროებითი მართველობა? ვისგან იყო იგი არჩეული, რომ აწესრიგებდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობას და ოფიციალად მის ხელ-მძღვანელ ორგანოთ ითვლებოდა? ეს კითხვა, თავის თავად ცხადია, უსაფუძვლოა. ჩვენს თვალ წინ დაიწყო, განვითარდა და გაღრმავდა უდიდესი ხალხთა აჯანყება, ემხობოდა ძველი წესები და მათ ნანგრევებზე იმართებოდა ახალი, ცხოვრების მოთხოვნილებასთან მიზან-შეწონილი სოციალ-პოლიტიკური ფორმები, და ნუთუ მეხსიერებამ გვიღალატა და ვეღარ მოგვიგონია პირველი მომენტი რევოლიუციურ მთავრობის და სხვა მრავალ ორგანიზაციების მოწყობისა?! არჩევნების ოთხ-წევრიანი ფორმულა დღეს ყველასათვის საყვარელია და იურიდიულად დაკანონებულია რუსეთის სახელმწიფოში, მაგრამ ამას მნიშვნელობა და ადგილი არა აქვს გარდატეხის პირველ ხანში, როდესაც ძველის ადგილი სწრაფად უნდა დაიჭიროს ახალმა და შეიქმნას მართვა-გამგეობაში პირველ-დაწყებითი შემოქმედებითი მუშაობა. ასე მოხდა რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგში და, მაშასადამე, მას ზურგს ვერ აუხვევდა ჩვენი ეკლესიის წყობილების გარეგანი გამოსახულობაც. პირიქით, ჩვენ მოვალენი ვართ გულწრფელი მადლობა ვუძღვნათ საეკლესიო მართველობის წევრთ, რომ დროზე ჩადგნენ საეკლესიო საქმეების სათავეში და რუსეთის უმართებულეს სინოდის აგენტებს არ გადააყლაპინეს აღდგენილი და განახლებული საქართველოს ეკლესია...

ახლა საორგანიზაციო პერიოდმა უკვე განვლო: ჩვენი ეკლესია თავისუფალ ცხოვრებას შეუდგა და მის მოსაწყობად მოიხმო მთელი ქართველი ერი! დიდებულ სიონის ტაძარში ქართველი სამღვდელოება და ერი აწარმოებენ დიად საქმეს სამშობლო ეკლესიის აღმშენებლობისას! შეწყვეტილი ისტორია ხელახლად იწერება; ძალმომრეობის შემქმნელი პირუთვნელ ისტორიის სამსჯავროს წინაშე სდგანან ხალხთა რისხვის მოლოდინში! ძველის ძველი მართლმადიდებელი ეკლესია განაგრძობს თვის დანიშნულების აღსრულებას და შეურყეველ და მტკიცე ნიადაგზე დააყენებს იმას, რასაც დღემდე დროებითი და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა!

რ. ინგილო.

P. S. პარასკევის ნომერში საქართველოს ეკლესიის მონობა 117 წლად გავაგრძელეთ. საჭიროა სინოდის ცოდვებს 11 წელი მოაკლოთ.

რ. ი.

# რუსეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

### ჩხეიძის მაგიერ ბოლშევიკი ფედოროვი აირჩიეს.

**პეტროგრადი**, ენკენისთვის 9. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მუშათა სექციის მიერ პრეზიდიუმისა და სექციის არჩევნების შედეგი შემდეგია: ბოლშევიკების ფრაქციამ მიიღო 6 ადგილი, მენშევიკებმა—2, სოციალისტ-რევოლუციონერებმა 3. თავმჯდომარედ (ჩხეიძის მაგიერ) აირჩიეს ფედოროვი, ბოლშევიკი, მის ამხანაგებად იაკოვლევი, სოციალისტ-რევოლუციონერი, და ბროიდა მენშევიკი.

### პეტროგრადის ჯარის მოთხოვნილებანი.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 8 მოხდა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს ჯარისკაცთა სექციის კრება. დაესწრნენ სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი და პეტროგრადის ჯარის უფროსი პოლკოვნიკი პოლკოვნიკოვი. სხვათა შორის ვერხოვსკიმ აღნიშნა, რომ მეტად საჭიროა ჯარში დისციპლინის აღდგენა. საჭიროა ძლიერი ჯარი სამშობლოს დასაცველად. მინისტრმა რომ ამ უკანასკნელ ხანში ჯარისკაცები და მეზღვაურნი მეტად ენდობიან თავიანთ უფროსებს. მინისტრის სიტყვას მქუხარე ტაშით შეეგებნენ. მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ რომ პეტროგრადიდან პოლკების მთელი შემადგენლობა არ გაჰყავდეთ. რომ საომარო როტებისა და მუშათა კომანდების გაყვანა, მთავარ სარდალთან თათბირის ნებართვით უნდა ხდებოდეს. პოლკის ის ნაწილები, რომლებიც სამხედრო საჭიროებისათვის არ გაიყვანეს—პეტროგრადში უნდა დაბრუნდნენ. კრება დაჟინებით მოითხოვდა აგრეთვე, რომ პეტროგრადის შტაბის რეორგანიზაცია საბჭოს ჯარისკაცთა სექციის სრულ თანხმობით მოხდეს. გადასწყდა, რომ რეზოლუცია მთავარსარდალს ეცნობოს ზომების მისაღებად.

### ბოლშევიკების გამარჯვება პეტროგრადის მუშათა საბჭოში.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. მორიგ საკითხად გამოცხადდა პრეზიდიუმის არჩევა. ჩხეიძე იმეორებს რომ პრეზიდიუმი თანამდებობიდან გადადგა იმ ბოლშევიკურ რეზოლუციის მიღების გამო, რომელიც ძირიანად სცვლის საბჭოს ტაქტიკას და მის პოლიტიკურ სახეს. **წერეთელი** მოითხოვს გარკვეულ პასუხს—სწორე თვალსაზრისს ვდგა პრეზიდიუმი თუ ეხლა საბჭოს სულიერ განწყობილებას აღარ შეეფერება. მენშევიკებმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა რეზოლუცია წააყენეს. რეზოლუცია აღნიშნავდა, რომ მარიამობისთვის 31-ს ბოლშევიკების რეზოლუცია შემთხვევით გავიდა და საბჭო სრულს ნდობას უცხადებს თავის პრეზიდიუმსო. რეზოლუციას კენჭი უყარეს. შედეგი: მომხრე 418,—მოწინააღმდეგე 519. თავშეკავებულები 67. შედეგის გამოცხადების შემდეგ ჩხეიძემ განაცხადა, რომ პრეზიდიუმი თანამდებობას იხსნის და ტრიბუნა დასტოვა. პრეზიდიუმის ადგილი ჯარისკაცთა სექციის ფრაქციამ დაიჭირა. ბოლშევიკები ტაშით შეხვდნენ. მათ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დეპუტატთა საბჭო ისტორიის ახალ სტრიქონებს იწყობსო.

### მოწოდება სალაშქრო კომიტეტებს.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. ცენტრალ კომიტეტის სამხედრო განყოფილებამ ფრონტის სალაშქრო კომიტეტებსა და დეპუტატთა საბჭოებს მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: ძირითად და ამასთან მორიგ საკითხად უფროსთა ნდობის აღდგენა უნდა ჩაითვალოს. მოწოდება სთხოვს თვით-გასამართლებაზე ხელის აღებას და იმედს გამოსთქვამს რომ სალაშქრო ორგანიზაციები შესძლებენ ჯარში წესიერების აღდგენას და სთხოვენ ამხანაგებს იშრომონ ჯარში ბრძოლის ნიჭის ჩანერგვისათვის.

### უნივერსიტეტი ირკუტსკში.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო ირკუტსკში უნივერსიტეტის დაარსება. ჯერჯერობით იურიდიული ფაკულტეტი გაიხსნება.

### ახალ მთავრობის შედგენა

#### ნიკიტინი შინაგან საქმეთა მინისტრად.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 8. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ალექსი ნიკიტინი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. იგივე იქნება ძველ თანამდებობაზედაც.

### ყაზახთა მოძრაობა

#### დონის ყაზახთა ყრილობა

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 8. ყაზახთა კავშირის საბჭოს წარმომადგენელი **დუტოვი** მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ საბჭომ ზომები მიიღო საერთოდ ყაზახებზე და კერძოდ კალედინის შესახებ ბრალდებების ასაცილებლად. ყაზახთა ახალი ყრილობის მოწვევის შესახებ დუტოვმა განაცხადა: „ჩვენ ახალი ორგანიზაციები არ გვეჭირვება. ეს ხმა მაღლა უნდა განვუცხადოთ რევოლუციურ დემოკრატიას.

ყაზახთა ოფიცერმა **ლაპინმა** (სოც.) ბოგაევსკის საპასუხოდ განაცხადა დონში კლასობრივი წინააღმდეგობა დიდია. თუ თქვენ მტკიცე მთავრობა გესაჭიროებათ შიბრძანდით ტობოლსკში რომანოვთან. თქვენი გზა თუ ჩვენსას არ უერთდება—გვშორდეთ?

როსტოვის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენელი **სოხრანოვი** აღნიშნავს, რომ საბჭომ კალედინის შესახებ რეზოლუცია არ გამოიტანა, მაშასადამე დეპუტატთა საბჭოებს არ უნდა ემდურებოდეთო. ორატორმა აღნიშნა, რომ კალედინის სიტყვით მას, არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია კორნილოვთან და იგი ყაზახობას რევოლუციურ დემოკრატიის მხრის დასაჭერად მოუწოდებდა. ილაპარაკეს ყაზახთა ნაწილების სხვა და სხვა წარმომადგენლებმა. ყველანი ერთხმად აცხადებდნენ კალედინის მხრის დაჭერას.

სოციალდემოკრატების წარმომადგენელმა **მუარენკომ** აღნიშნა, რომ რაღაც ეჭვის თვალით უყურებენ რუსის ერის იმ ნაწილს, რომელიც დემოკრატიულ წესწყობილებას ანვითარებს და რომელიც დამყარებულია ფართე თვითმართველობის ნიადაგზე. სამხედრო წრე—ეს დონის დემოკრატიული პარლამენტია. ყაზახობა მოითხოვს რომ მას პატივს სცემდნენ. ორატორმა აღნიშნა, რომ კოსტრომის გუბერნიის ზოგ ზოგ ალაგას გლეხები ნიკოლოზის სურათით დადიან და მის შესახებ სთქვა: „ჩრდილოეთი თუ ისურვებს, რომ ნიკოლოზი გვირგვინით შემოსონ—ყაზახობა შეეცდება მის ჩამოვდებას, თუნდაც ეს ჩვენ ვერ შევძლოთ". (მქუხარე ტაში). **ყუბანის სამხედრო ყრილობის** სახელით განაცხადეს, რომ იგი მზადაა მხარი დაუჭიროს დონს თუნდაც იარაღითაც. ორატორის სიტყვით, ყუბანის ყაზახობა მეტად აღელვებინა კალედინის შეპყრობამ. როსტოვის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რევოლუციურ დემოკრატიას და რევოლიუციურ ყაზახობას საერთო გზა ექნებათ. ყრილობაზე გამოირკვა კალედინის უდანაშაულობა. ეს ეცნობება როსტოვის ქალაქის საბჭოს და სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტს.

# ეკონომიური ცხოვრება

### მცირეწლოვანთა შრომა

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. შრომის მინისტრმა შეიმუშავა კანონ-პროექტი მცირეწლოვანთა შრომის დაზოგვის შესახებ; სამუშაოდ უნდა იღებდნენ 14 წლისას. უნდა მუშაობდნენ 6 საათს. ღამით მუშაობა აკრძალულია.

### პროტესტი პურის ფასის აწევაზე

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. დეპუტატთა საბჭოს დელეგაციამ სასურსათო კომიტეტში განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია პურზე მტკიცე ფასების დამტკიცებისა. დელეგაციამ კომიტეტის სასწრაფო სესიის მოწვევა მოითხოვა.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### რუსეთის ფრონტი

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 9. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით ენკენისთვის 8-ს გერმანელებმა სისეგალის მიმართულებით შეტევა დაიწყეს. რუსის ჯარის მოწინავეებმა არტილერიის დახმარებით მტრის შეტევა შეაჩერეს. იაკობშტადტის მიმართულებით მტერმა ენკენისთვის 8-დან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაანთო. უმეტესად „დოკტერ ზედბერგ"-ის ჟენის თხრილებს აუტეხეს სროლა. მტერი ქიმიურ ყუმბარებს ხმარობდა. შუადღისას ამ რაიონში გერმანელებმა შეტევა დაიწყეს და ადინანას (?) სამხრეთ დასავლეთით ასპარეზის ნაწილი დაიჭირეს. მტერმა შესძლო დვინიდან 2 ვერსის მანძილზე მდებარე ზოგიერთა ადგილების დაჭერა. რუსის ჯარი დვინის მარჯვენა მხარეზე გადმოდიან.

**დასავლეთისა და სამხრეთ დასავლეთის ფრონტები.** სვენცანის მიმართულებით და პოსტავის სამხრეთ დასავლეთით დიდი სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ენკენისთვის 7-ს საღამოთი მუნჩელუს ჩრდილო რაიონში გერმანელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში რუმინელების ასპარეზზე. რუმინელებმა მტერი მოიგერიეს. მოიგერიეს აგრეთვე გუშინდელი იერიში გროზესცის ჩრდილოეთით.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არ არის-რა.

**პეტროგრადი.** ენკენ. 10. ოფიციალი. **ჩრდილოეთის ფრონტი.** ენკენისთვის 9-ს რიგის მიმართულებით, რუჟენის რაიონში რუსის ჯარმა წინ წაიწია. იაკობშტადტის რაიონში რუსის ჯარი დვინის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდა და მდინარეს მარცხენა ნაპირზე მდგომ მტრის მოწინავეებს უშინეს ტყვიას.

**დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტები.** ენკენისთვის 9-ს მხოლოდ სროლა იყო.

**რუმინეთის ფრონტი.** ენკენისთვის 8-ს მტერმა რახოუცის სამხრეთით გაზის ორი ძლიერი ტალღა გამოუშვა. ქარმა ტალღა უკან გააბრუნა. მუნჩელუს რაიონში სექტემბრის 9-ში 23 საათზე მტერმა ორჯელ მიიტანა რუსის ჯარზე იერიში, ორჯერვე მოიგერიეს.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა არის-რა.

**მფრინავთა მოქმედება.** ენკენისთვის 7-ს რამდენიმე საჰაერო ბრძოლა მოხდა სამხრეთ დასავლეთის და რუმინეთის ფრონტზე. ჩამოვაგდეთ სოფ პაუკოში მტრის ერთი ჰაეროპლანი, 2 დავაზიანეთ.

### მთავარ სარდალ ალექსეევის გადადგომა

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 10. უმაღლეს მთავარ სარდალმა გენერალ ალექსეევის გადადგომის შესახებ ბრძანება გამოსცა. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია: გენერალ ალექსეევმა ლაშქარში, საქმიანობისა და წესიერების აღდგენა შესძლო. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმის განხორციელების შემდეგ გენერალ ალექსეევმა თანამდებობიდან განთავისუფლება მთხოვა, რაც აუსრულე და დროებით მთავრობას ვთხოვე მის განთავისუფლება უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსის თანამდებობიდან. დათხოვნა.

### საფრანგეთის ფრონტი

#### საფრანგეთის ბანაკის ცნობა

**პარიზი.** ენკენისთვის 7. ოფიციალი. ფრონტზე არტილერიის ენერგიული მოქმედებაა.

**პარიზი.** ენკენისთვის 7. საღამოს ოფიციალი. გერმანელებმა სერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიტანეს იერიშები, მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ.

#### ინგლისის ბანაკის ცნობა

**ლონდონი.** ენკენისთვის 7. იპრის აღმოსავლეთით ინგლისელებმა მნიშვნელოვანი ასპარეზები დაიჭირეს.

### ინგლისის შეტევა ბელგეთში

**ლონდონი.** ენკენისთვის 8. იპრკომინის არხისა და იპრ-ოტალენის რკინის გზის შუა, იპრის აღმოსავლეთით, ინგლისელები ასპარეზებს აფართოვებდნენ. მათ ჯარმა მეტად მნიშვნელოვანი ასპარეზები დაიჭირეს. ინგლისელებმა დაიჭირეს ინვერნეს ტყე, ხოლო ავსტრალიელებმა—გლენკორსისა და ნონნენბოშენის ტყეები. შოტლანდიელ ბრიგადებმა და სამხრეთ-აფრიკის ჯარმა ხელთ იგდეს ფერმები: პოტსდამი, ვამპირი და ბერრი, რამოდენიმე ალაგი სიბირის ფერმით და გალიპოლის გამაგრებული ასპარეზი. მარჯვენა ფრთამ კომინის არხის ჩრდილოეთით და ტოუერისა და გამლეტის მიდამოებში ინგლისელებმა მიზანს მიაღწიეს. ფრონტის ცენტრში ჩრდილო ინგლისის ბატალიონებმა და ავსტრალიელ ჯარმა გერმანელთა ასპარეზებზე 1.600 მეტრით წაიწიეს; დაიჭირეს სოფ. ველდჰუკი და პოლიგონის ტყის დასავლეთი ნაწილი. ჩრდილოეთით მათ ხელშია ზუვეკოვი. ლონდონის და ირლანდიის ჯარმა მტრის ფრონტის მეორე ხაზი იგდეს ხელში—მათ ხელშია ფერმები: როზი, კვებეკი და ვურსტი. გამოდარების გამო ინგლისის მფრინავები აქტიურად მოქმედობდნენ. მათი მტრის კონტრ-იერიშები მოგვაგერიებინეს. ტყვეების რიცხვი ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ 2000 უნდა აღემატებოდეს. ინგლისელებმა ხელთ იგდეს აგრეთვე რამდენიმე ზარბაზანი.

**ლონდონი.** ენკენ. 9. გუშინ მტერს რამდენიმე კონტრიერიშები მოუტანია, მაგრამ უშედეგოთ. დიქსმუდის სამხრეთით დღეს ინგლისელთა ჯარმა კვლავ წინ წაიწია: ლივერპულისა და ლანკაშირის პოლკებმა სენჟიულენის დასავლეთით გამაგრებული ფერმა დაიჭირეს. ლანგემარკის დასავლეთით დღეს ინგლისელთა არტილერიამ მტრის კონტრიერიშები მოიგერია. გუშინდელ ტყვეების რიცხვი 3000 აღემატება.

**მფრინავთა მოქმედება.** კურტრეის მახლობლად ინგლისელმა მფრინავებმა გერმანელთა ჰაეროდრომს აუტეხეს სროლა. ჩაჰყარეს რამდენიმე ყუმბარა დედაგენის სადგურზე და ყუმბარების საწყობებს სროლა აუტეხეს. დაღუპეს გერმანელების 10 ჰაეროპლანი, 6-იც დააზიანეს. ინგლისელებს 10 ჰაეროპლანი აკლიათ.

### ზავის საკითხი საფრანგეთის პარლამენტში

**პარიზი.** ენკენისთვის 6. დეპუტატთა პალატა. **ლუშერი** მოითხოვს იმ ზომების განმარტებას, რომლებსაც უნდა მიმართოს მთავრობამ მოკავშირეებთან შესათანხმებლად ომის რაციონალურად წარმოების შესახებ და რომელთაც „გამარჯვებისა" და „ზავის" ნათელი წარმოდგენა უნდა მისცენ ხალხს. ორატორის სიტყვით საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშავება ერთა უფლებებისა, ვიდრე მოლაპარაკებები დაიწყებოდეს, რაც მოკავშირეთ აიძულებს ერთი ერთმანეთის შორის გარკვეული დამოკიდებულება ვერ იქონიონ და ასე წარსდგნენ გერმანეთისა და მის ვასალების წინაშე. სოციალისტმა **ბრიუკემ** იკითხა, თუ რა პასუხი უნდა გასცეს მთავრობამ პაპის ნოტასო და სურვილი გამოსთქვა, რომ მას ვილსონის პასუხი გაეზიარებინა. **პენლევემ**, ლუშერის საპასუხოდ განაცხადა, რომ მთავრობის როლია მოქმედების გეგმის შედგენა და მისი აღსრულება. საფრანგეთი იზიარებს ვილსონის მოწოდებაში გამოხატულ პრინციპებს. პენლევე დასთანხმდა ლუშერის იმაში თუ რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს საფრანგეთმა მოკავშირეებთან. დასასრულ პენლევემ პალატას მთავრობის სრული ნდობა სთხოვა. ერთ დეპუტატთაგანმა სთხოვა რიბოს, მოკავშირეთა შორის ხელშეკრულებების ახსნა. რიბომ მის საპასუხოდ განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის გამოაქვეყნოს ხელშეკრულებები მხოლოდ ამის თანხმობა მოკავშირეებმა უნდა განაცხადონ. საფრანგეთი მოითხოვს ელზას ლოთარინგიის დაბრუნებას. ზარალის აღდგენას მათგან, ვინც ყველა კანონები გადალახეს. საფრანგეთი ხელს არ მოაწერს ისეთს ზავზე, რომ მის შვილებმა კვლავ იარაღი აიღონ. როგორც ინგლისმა, იტალიამ და რუსეთმა—ჩვენც პასუხი არ გავეცით პაპის ნოტას. ჩვენ, ჩვენი მიზნები გამოვაცხადეთ. რიბოს შემდეგ ილაპარაკა რენოდელმა. მან განმარტა მიზეზი, რის გამოც სოციალისტებმა კაბინეტში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, და აღნიშნა, რომ სოციალისტები მხარს დაუჭერენ მთავრობას, რაკი იგი ამას დაიმსახურებსო. დასასრულ თავმჯდომარემ გამოაცხადა ლაფონის მიერ წარდგენილი შემდეგი ფორმულა „პალატა მხარს უჭერს მთავრობის დეკლარაციას და ენდობა რა მთავრობის განზრახვათ მთელ თავის ენერგიით შეეცდება მის სამხედრო პროგრამის განხორციელებას" ფორმულა 378 ხმით, ერთის წინააღმდეგ, იქმნა მიღებული. შემდეგ კრება დაიხურა. დეკლარაციის ტექსტი პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ჯერ არ მოსულა.

### ახალი საშუალება წყალქვეშათა წინააღმდეგ.

**ლონდონი.** ენკენისთვის 8. საზღვაო უფროსები აცხადებენ, რომ წყალქვეშათაგან თავდაცვისათვის მიღებული ზომები კარგ შედეგებს იძლევიან. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ წყალქვეშები დიდ ზარალს ვეღარ მოგვაყენებენო. ერთ საშუალებათაგანია ბოლის ფარდა. საადმირალტომ ამისათვის საჭირო აპარატები დაურიგა გემებს. აპარატებს წყალში ჰყრიან. გემები ბოლის ღრუბლებში ეხვევიან და წყალქვეშა მათ ვეღარ ამჩნევს.

### აფეთქება ინგლისში.

**ლონდონი.** ენკენისთვის 8. ოფიციალი ცნობაა, რომ ირლანდიაში ასაფეთქებელ მასალების დამმზადებელ ქარხანაში აფეთქება მომხდარა. დაჭრილა რამდენიმე კაცი.

### საერთაშორისო კონფერენცია

**სტოკჰოლმი.** ენკენ. 9. საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა—ღვინობისთვის ორისათვის მოიწვიოს ბერნში საერთაშორისო მოსამზადებელი კონფერენცია ერთა შორის მუდმივ კავშირის შესამუშავებლად. — კერძოდ—მთავრობათა პერიოდულ კონფერენციის მოწვევის შესახებ, კონფლიქტების მშვიდობით დაბოლოების შესახებ და სხვა. ამ ომის გასათავებლად მისაღებ საშუალებებზე მსჯელობა არ ექნება. მოწვეულია 100 წევრი. არჩეულია 9 მოსამზადებელი კომისია. აღმასრულებელმა კომიტეტმა მებრძოლ სახელმწიფოებს პასპორტების მიცემის შესახებ თხოვნით მიმართა.

### გერმანეთის პასუხი პაპის ნოტაზე

**სტოკჰოლმი.** ენკენისთვის 9. ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა მთავრობის პასუხის ტექსტი პაპის ნოტაზე. პასუხში უთითებენ, რომ იმპერატორი მხურვალედ მოწადინებულია მთელი ქვეყნის სასარგებლოდ მალე დაამყაროს მშვიდობიანობა. იმპერატორიო, —ნათქვამია ტექსტში,—ტახტზე ასვლისთანავე თავის უწმიდეს მოვალეობად სთვლიდა გერმანელთათვის აეცილებინა ომი და შფოთი. თავის სეფეს სიტყვაში განაცხადა, არასოდეს ვერვინ შემაცდენს მახვილი ამომაღებინოს გარდა იმ შემთხვევაში, თუ ომს თავზე არ მოგვახვევენო. 26 წლის გამ[illegible] იმპერატორი მტკიცედ იცავდა [illegible] აღთქმას. თვით კრიზისის დროს, რომელიც დღევანდელ ომის ცეცხლს წინ უძღოდა, სცდილობდა უკანასკნელ წუთებამდე სადავო საკითხები მშვიდობიანად გადაეჭრა. თვით მაშინაც კი, როდესაც მისი სურვილის წინააღმდეგ ომმა იფეთქა, იმპერატორმა თვის მოკავშირეებთან შეთანხმებით ხელი გაიწოდა და სურვილი გამოსთქვა, საზავო მოლაპარაკებაზე მზად ვართ, თუ თქვენც მოისურვებთო. მასთან ერთად მთელი გერმანეთის ხალხიც ამბობდა ამ სიტყვას. გერმანეთს სწყუროდა მშვიდობიანი განვითარება სულიერსა თუ ნივთიერს სფეროში, თავისუფალს კონკურენციას ნებასა რთავდა, მაგრამ ყოველისფერს საფუძვლად უდებდა ყოველ ერის პატივისცემას. მიუხედავად ასეთის სურვილებისა, თავისუფალი განვითარება შესწყდა საბედისწერო 1914 წლის მიერ წარმოშობილ გარემოებათა წყალობით, რამაც სისხლის მორევში გაცურა მთელი ევროპა. დღეს გერმანეთი განსაკუთრებით იზიარებს პაპის შეხედულობას, გვწამს განსაზღვრულ გარანტიათა შექმნა მებრძოლთა შორის თანასწორად იარაღის შეხსნის შესახებ, აგრეთვე ზღვებზე თავისუფალი მიმოსვლა შეადგენენ ისეთს თემებს, რომელთა გამორკვევით შეიქმნება ახალი გამოხატულება, ახალი სული ურთიერთ შორის დამოკიდებულებათა მოსაწესრიგებლად. გერმანეთს სწამს, რომ ამ წინადადებას სათანადოდ დაუჭერს მხარს გერმანეთის ხალხი, თუ კი ეს არ ავნებს მის პირად ცხოვრებას. არც ერთი ხალხი ისე არაა მოწყურებული ყველასთან კეთილგანწყობილებაში იყოს, როგორც გერმანეთი, რათა შურისძიების ნაცვლად გამეფდეს ძმობა, ერთობა და სიყვარული. როდესაც ყველა ხალხი იწამებს ამას, მაშინ აღარც განმეორდება ასეთი მსოფლიო კატასტროფანიო. პასუხის ბოლოში გამოთქმულია აზრი, რომ გერმანეთის მოწინააღმდეგენი პაპის ნოტაში დაინახავენ საკმაო ნიადაგს, რომ მომავალ ზავისთვის მოსალაპარაკებლად მოვემზადოთ.

# სუხომლინოვის გასამართლება

### ბრალმდებელ ნოსოვიჩის სიტყვა.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 6. დღეს, სუხომლინოვის მეუღლისა და თვითონ სუხომლინოვის მიერ თავისმართლებისა, ექვსი საათის შემდეგ კამათი დაიწყო. პირველად გამოვიდა ბრალმდებელი ნოსოვიჩი. „თქვენ მეტად მძიმე საქმის განხილვა გხვდათ წილად,—მიჰმართა ბრალმდებელმა ნაფიც მსაჯულთ,—თქვენ ვალად გადევთ ფრიად განსაკუთრებული ხასიათი და საქმე გამოიძიოთ. საბრალმდებლო მთავრობა თქვენგან შურისძიებას კი არ მოითხოვს, არამედ სამართალს. ბრალდებელთ გვსურს ჩვენი გამოცდილებით, საქმის ცნოდნით გაგიადვილოთ მსჯავრის გამოტანა. საკითხის გარდასაწყვეტათ თქვენ უნდა იყვნეთ მსაჯულნი, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. თქვენ ყოველ პარტიაზე და კლასზე მაღლა უნდა იდგეთ. მართალი იყო ის, ვინც სთქვა: „რევოლუციამ ქუდმოხდით უნდა გაიაროს მართლმსაჯულების ტაძრის წინაო". აი, ამ დებულების შემდეგ შევუდგები საქმის ვითარების დამშვიდებით გადმოცემას: დავიწყებ განმარტების იმ ნაწილიდან, საიდანაც ჩვენა გვგონია, ბრალდებულნი თითქოს სულ ცამდინ მართლები იყვნენ. განვიხილოთ გაცემისა და ჯაშუშობის საქმე იმ პირებისა, რომელნიც 6 წლის განმავლობაში სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე იყვნენ. რომ საქმის განხილვას გულდამშვიდებით შევუდგე, მსურს თვითონ ამ საქმის ისტორია გაგაცნოთ.

**გამომძიებელი კომისია.** თქვენ მოგეხსენებათ, რომ 1915 წ. თიბათვეში ყოფილ მონარქის ბრძანებით დაარსებულ იქმნა კომისია რათა ყოველ მხრით განეხილათ ყველა ის გარემოებანი, რანიც მიზეზად შეიქმნენ იმისა, რომ შეკვეთილს სამხედრო მასალას თავის დროზე ვერ აწოდებდნენ არმიას. იმ დროს კომისიას წარმოუდგა საკითხი: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ სამხედრო მინისტრი ღალატთან ახლოს მდგარიყოს? მერე იცით, რამ წამოაყენა ეს საკითხი?

**პორუჩიკი კოლაკოვსკი და მიასოედოვის საქმე.** იმ დროს, როდესაც კომისია მუშაობდა, ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა: გერმანელთა ტყვეობიდან გამოიქცა პორუჩიკი კოლაკოვსკი, რომელმაც ფარდა აჰხადა მიასოედოვის გამცემლობას, როდესაც

შეუდგნენ საქმის გამოძიებას, მეორე პროცესი დაიწყო, მიასოედოვის მახლობელ პირებს გოშკევიჩს, ალტშილერს და ივანოვს ჩასჭიდეს ხელი. გამოძიების შემდეგ დამტკიცდა ისიც, რომ ამ პირებს მეტად მახლობელი დამოკიდებულება ჰქონდათ სუხომლინოვთან. მიასოედოვისა, ივანოვისა და გოშკევიჩის შესახებ სამხედრო საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილია ერთი ოქმი, ხოლო სამხედრო საველე სასამართლოსი ორი. აქ დამცველებმა ხმა აღიმაღლეს, ვითომც სამხედრო-საველე სასამართლომ კანონის ძალა დაჰკარგა იმ დროიდან, როცა დაინტერესებულმა პირებმა საქმის განახლება მოისურვეს. კანონი კი ამბობს: იმ პირთ, ვისაც სასჯელს მიუსჯის სამხედრო-საველე სასამართლო, და მათ ნათესავთ შეუძლიანთ საქმის ხელ ახლა განხილვა მოითხოვონ, მაგრამ კანონი იგი სრულიადაც არა ჰხდის ვალდებულად სამხედრო საოლქო სასამართლოს უკვე გამოტანილი ოქმი გაუქმებულ იქმნეს. მაგრამ, ბატონნო ნაფიცნო მსაჯულნო, თქვენ ამ მაცდურ ხრიკებზე არ წამოეგებით. თქვენ გსურდათ უკან გადაგეხედათ, ძველი საქმენი ხელ ახლად განგეხილათ, მაგრამ ამის ნებას არ გაძლევდნენ და ვერც მოგცემდნენ. როდესაც ბრალდებულს მიასოედოვს, გოშკევიჩს და სხვებს მართლმსაჯულების მახვილი ემუქრებოდა, გაიხსენეთ, რას ამბობდნენ ისინი: „ჰკითხეთ სამხედრო მინისტრს, ის კარგად გვიცნობს, რომ ჩვენ ჯაშუშები შეუძლებელია ვიყოთო". მერე რას ამბობდა სუხომლინოვი? „ისინი ჯაშუშები არიან, ეს კარგად ვიციო.

**თავ. ანდრონიკოვი.** შემდეგ ბრალმდებელმა განაგრძო. „ვკითხოთ, ვინ დადიოდნენ მასთან არა ოფიციალ სახით, არამედ შინაურულად, მის ბინაზე? ან და ვინაა, რას წარმოადგენს სუხომლინოვი? გვერდიის ოფიცერს, რომელმაც ორჯელ ომში მიიღო მონაწილეობა, გიორგის კავალერი—დღესაც სუხომლინოვს ის ჯვარი გულზე კიდია, რომელმაც მადლობა ღმერთს, მიუხედავად ყოველგვარ ღირებულების გარდაფასებისა, ჯერ კიდევ მთლად არ დაჰკარგა თავის ფასი. გენერალი სუხომლინოვი სწრაფად ეწევა კარიერას, მაგრამ ვის ვხედავთ მასთან ხშირად? რა თქმა უნდა, თავადს ანდრონიკოვს! მერე ვინ არის თავადი ანდრონიკოვი? თქვენ იცით ბატონო ნაფიცო მსაჯულნო, რომ თავადი ანდრონიკოვი გახლავთ გახრწნილების ყვავილი, სადაცა საშინელება რამ, რაიც დიდათ გვაგონებს სახელოვანს მოხუცს, ვისაც წინასწარმეტყველური სახელი მისცეს „ახალი", ხომ გახსოვთ, რა ყრუანტელს უვლის თვითეულს რუსს მარტოოდენ ერთი გახსენება თავად ანდრონიკოვისა! და აი, ამ ადამიანს უახლოვდება სამხედრო მინისტრი, როგორც ყოვლისფერის მცოდნე და გამოცდილს ადამიანს. რა საშინელებაა ამისი გაგონება, სამხედრო მინისტრს, რომელიც მონარქთან, თავისუფლად მიდის და მოდის, ესაჭიროება განსაკუთრებული მომხსენებელი ამ საზარელ თავადის სახით, რომელიც მონარქთან ფარულ კარებით დაიარება. 1909 წ. სუხომლინოვმა მოინდომა თავის მდგომარეობის სიმტკიცე გამოეცადნა. ამ შემთხვევაშიაც იგი მიჰმართავს ისევ ანდრონიკოვს, მისგანვე იღებს საჭირო ცნობებს.

**გოშკევიჩი.** შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ სუხომლინოვისას არც ერთი კაცი არ მოდიოდა, რომ სარგებლობა არ ექმნა. გოშკევიჩი, როგორც სუხომლინოვის ნათესავი, ჯერ ადვილად ვერ იარება სამხედრო მინისტრთან. გოშკევიჩი მხოლოდ მაშინ მიუშვეს მასთან, როდესაც იგი ჩაერია ცოლქმრობის გაყრის პროცესში და სუხომლინოვის მხარე დაიჭირა.

**ალტშილერი.** შემდეგ იგივე სუხომლინოვი დაიახლოვებს ალტშილერს, იქნებ გიკვირთ, რა კავშირი აქვს ამ დაახლოვებასთან? მე მოგახსენებთ მოწმის აწონილ-დაწონილ სიტყვას. მე ვამბობ გენერალ ალექსეევზე. მას მოუფიქრებლად როდი მოუვლია, როდესაც სთქვა, ალტშილერს ცალკე კაცები მივუჩინეთ თვალ-ყურის სადევნებლად, თუ რად და რისთვის დაიარებოდა სამხედრო მინისტრთანაო. მოწმე ფინი იწმუნება, რომ სუხომლინოვი ალტშილერს ჰხვდებოდა ვენაში, ბერლინში და კარლსბადშიო. ადამიანი, ვინც კურორტებზე დასასვენებლად მიდის, ძნელად რომ ისეთს განუვითარებელ ადამიანთან დაიარებოდეს სანახავად, როგორც ალტშილერიო. ამის გარდა, ალტშილერი ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომია, მისი სუხომლინოვთან დაახლოვება ყველას ეჭვს უბადებდა, თვით სუხომლინოვი კი ამ გარემოებას ყურს არ ათხოვებდა"-ო. ბრალმდებელი, ამტკიცებს რა, რომ გოშკევიჩი, ალტშილერი, მიასოედოვი და ივანოვი ერთს კავშირში იყვნენ და ერთი და იგივე მიზანი ჰქონდათო, ბოლოს დაასკვნის: „თუ რა პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოვიტანოთ სუხომლინოვისა და ზემოხსენებულ პირთა დაახლოვებიდან, ამას ხვალინდელ კრებაზე მოგახსენებთ ჩემი სიტყვის მეორე ნაწილში"-ო.

## უკანასკნელი დეპეშები

გაზეთები ზავის შესახებ მსჯელობენ. „იზვესტია სოვ. დეპ.", „ზემლია ი ვოლია" და „ნოვაია ჟიზნ"-ი აღნიშნავენ, რომ ბურჟუაზიის მიერ ზავის შეკვრა სახიფათოაო.

—

„ნოვაია ჟიზნი" მოუწოდებს, რომ ბერნის კონფერენციის საწინააღმდეგოდ სტოკჰოლმში მოიწვიონ კონფერენცია.

—

„დენი" სწერს: „გერმანეთი დათმობას დაადგა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მოკავშირენი რუსეთს არ მიანდობენ ომის ლიკვიდაციას. მაგრამ საჭიროა ძლიერი მთავრობის შედგენაო.

—

გენერალ ალექსეევს ლაშქრის თვალსაჩინო უფროსებიც მისდევენ.

—

ბოლშევიკები და სოციალისტ-რევოლიუციონერების ერთი ნაწილი, ჩერნოვის თაოსნობით, ენერგიულ აგიტაციას ეწევიან კერენსკის წინააღმდეგ. პრემიერად წერეთელს ასახელებენ, რომ ამით მთავრობაში მენშევიკები შეიყვანონ.

—

მთავარ-სარდალ ალექსეევის მაგიერ გენერალი დუხონინი დაინიშნა.

—

## სანდო პირების ცნობით შესაძლოა მოკლე ხანში ზავი ჩამოვარდეს. სამშვიდობო თაოსნობა ინგლის-საფრანგეთს ეკუთვნის.

# ქრონიკა

### თბილისი

◆ **უნივერსიტეტი თბილისში.** ენკენისთვის 9-ს თათბირი ჰქონდა ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიასთან არსებულ უმაღლეს განათლების სექციას. თათბირს დაესწრნენ თბილისის პოლიტექნიკუმისა და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორები, სხვათაშორის პროფ. მელიქიშვილიც. სექცია შეეხო საკითხს შესახებ იურიევის უნივერსიტეტის გადმოტანისა თბილისში და ის აზრი გამოსთქვა, რომ თბილისს დიდი უპირატესობა აქვს თავისს მოცილე ვორონეჟთან და თუ თბილისის თვითმართველობა ენერგიულად იმოქმედებს, აღნიშნული უნივერსიტეტი უთუოდ თბილისში იქნება გადმოტანილი და ჩვენს კუთხეს სამუდამო უნივერსიტეტი ექნებაო. სექციის დადგენილება ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ **სამხედრო ცენზურა.** კავკასიის საოლქო ცენტრმა სალდათებისა, მუშებისა და გლეხების დეპუტატთა საბჭოებისამ განიხილა მოხსენება სამხედრო ცენზურის შესახებ და დაადგინა, რომ ყველა დროგამოშვებით გამოცემათა რედაქციებმა ის წერილები, რომელნიც ეხებიან სახელმწიფოს თავდაცვას, სამხედრო ცენზორს წარუდგინონ განსახილველად და ამ უკანასკნელისაგან ნებადაურთველი და ხელმოუწერელი წერილები აღნიშნულ ხასიათისა არ მოათავსონ თავიანთ გამოცემაში. ამასთანავე სტამბის პატრონები, სადაც ეს გამოცემანი იბეჭდება, ვალდებული არიან არ დაბეჭდონ ნებადაურთველი წერილები აღნიშნულ შინაარსისა.

◆ **სწავლის გადადება.** სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა ენკენისთვის 11-ს ტელეფონოგრამით აცნობა ყველა საშუალო სასწავლებლებს, რომ რადგან განზრახულია სკოლების ნაციონალიზაცია, ამიტომ მოსამზადებელ და საინბანო კლასებში შეგირდების გამოცდა და მიღება ახალ განკარგულებამდე გადასდეთო. ამ განკარგულებამ ბევრი სასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან შეგირდების გამოცდა და მიღება წარსულ მაისში მოხდა.

◆ **ქურდობა.** ენკენისთვის 10-ს, დილით, ქალაქთა კავშირის საწყობთან (ტურგენიევის ქუჩა) სამხედრო ავტომობილით მისულან აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი 3 კაცი და სალდათის ფორმით 15 კაცი, გატეხნიათ საწყობი და ავტომობილით წაუღიათ 27 ტომარა შაქარი და 2 ფუთი ბრინჯი. მთელი უბნის მილიცია ფეხზე დადგა და ნაქურდალი საქონელი აღმოაჩინა მიხეილის პროსპექტზე, სახ. № 97. მეზოვესათვის ქურდებს 2 ტომარა შაქარი უჩუქებიათ და უთხოვიათ ნაქურდალის დამალვა.

◆ **ხორბლის შესყიდვა.** გ. დალაქიშვილი, საგუბერნიო სასურსათო გამგეობის წევრი, გუშინ, ენკენისთვის 11-ს თბილისიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში წავიდა ხორბლეულობის სყიდვის საქმის მოსაწყობად.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** ენკენისთვის 10-ს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო ფქვილი 2 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., კარტოფილი 3 ვაგ.

◆ **სტუდენტთა კრება.** ხუთშაბათს, ენკენისთვის 14-ს, დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა ქალთა და ვაჟთა კრება, ფრეილინის ქ. 12, პარტიის ბიუროში, საღამოს 7 საათზე.

◆ **მოსკოველ სტუდენტთა საყურადღებოდ.** მოსკოვის საკუთარი კორესპონდენტი ზანდუკელი დეპეშით გვატყობინებს, რომ სტუდენტები ჩამოსვლაზე ნუ ჰშურდებიან, სასწავლებლებს იანვრამდის ჰკეტავენო.

◆ **ფოსტის განყოფილებანი.** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარის ილ. მამულიას განკარგულებით ფოსტის განყოფილებანი გაიხსნა სოფ. ნაგომარში (გურია) და ვანში (ქვემო იმერეთი).

◆ **ახალი ბიბლიოთეკა.** რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, დოლუხანოვისა და ნადიროვის მამულებზე გაშენებულ უბანში კვირას, ენკენისთვის 10-ს, გაიხსნა ბიბლიოთეკა „ინტერნაციონალი".

◆ **ახალი ინსპექტორების დამტკიცება.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა დაამტკიცა თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის კრების მიერ არჩეული ქართული კურიის სარაიონო სახალხო სკოლების კომისარებად: ივ. გომელაური, პეტრე ჩარექიშვილი და ვას. ჯაფარიძე, რუსული კურიისა—ივ. პოგრეშლოვი. სახალხო სკოლების დირექტორის თანამდებობა გაუქმებულია. თითოული ინსპექტორი დამოუკიდებელია და უნდა იცხოვროს თავისი რაიონის ცენტრში. ინსპექტორები ექვემდებარებიან მხოლოდ საოლქო სამოსწავლო კომისარიატსა.

◆ **ხორბლის მტკიცე ფასი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა საბოლოოდ დაადგინა ხორბლის მტკიცე ფასი. ფუთ ხორბალში აძლევს კომიტეტი 8 მან. რკინის გზის მახლობელ სადგურზე მოტანის ქირაც ამ ფულში შედის. თუ სოფლის მემამულე, რომელიც ხორბალს გაჰყიდის, სადგურზე არ მიიტანს ანუ ვერ მიიტანს ხორბალს, იმ შემთხვევაში მიტანის ქირა 8 მანეთიდან გამოერიცხება.

◆ **საქონლის რეკვიზიცია.** უფლება ყოველგვარ საქონლის რეკვიზიციისა დღემდე ეკუთვნოდა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს. რადგან საქონლის შეძენის საქმე გართულდა, ამიტომ საგუბერნიო კომიტეტმა საქონლის რეკვიზიციის უფლება აგრეთვე მიანდო რაიონების სასურსათო კომიტეტებს.

◆ **საქონლის საკვები მასალა და მეეტლეები.** ვინაიდან თბილისში სრულებით არ მოიპოვება საქონლის საკვები მასალა (ქერი, სიმინდი, თივა და სხ.) და იმედიც არ არის მოტანისა, ამიტომ თბილისიდან დიდძალი მეეტლეები გარბიან სხვა ქალაქებში, მომეტებულად ჩრდილო კავკასიაში.

◆ **ქართული ოპერა.** კვირას, ენკენისთვის 10-ს კლუბის დარბაზში მოხდა ქართველ საოპერო მომღერალთა წინასწარი კრება ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. ერთხმად გადასწყდა: აუცილებლივ შესდგეს ქართული საოპერო დასი. ამისათვის დაადგინეს მოიწვიონ ხუთშაბათს ენკენისთვის 17-ს ქართულ კლუბის საზაფხულო დარბაზში დილის 12 საათზე ყველა აქ და სხვაგან მყოფი ქართველი მომღერალი, კომპოზიტორი, რეჟისორი და სამუსიკო მოღვაწეთა კრება. განხილულ იქნება მთავარი საკითხები. ქართულ საოპერო მომღერალთა კავშირის დაარსება, მისი წესდების შემუშავება, რეპერტუარი, დასის მოწყობა და სხვა.

◆ **ტომრების რეკვიზიცია.** ენკენისთვის 6-ს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა რეკვიზიციის წესით ჩამოართვა პატრონებს 18,000 ტომარა. რეკვიზიცია გრძელდება. თითო ახალ ტომარაში ფასად იძლევა კომიტეტი 1 მ. 64 კაპ., ძველ ტომარაში 80—98 კაპ.

◆ **ბანქის აკრძალვა.** ბორჯომ-სურამ-ხაშურის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა სასტიკად აკრძალოს ბანქის თამაში ფულზე. ვინც ამ დადგენილებას არ დაემორჩილება და მას თამაშის დროს მოასწრებენ, ფული ჩამოერთმევათ.

### ბათუმი

◆ **ბათუმის ქალაქის სკოლებში,** თანახმად საოლქო კომისარიატის განკარგულებისა სწავლა დაიწყება ამა ენკენისთვის 20-ს, დილის 9 საათზე. მოწაფეების ჩაწერა ქალაქის ყველა სკოლებში სწარმოებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე 15 ენკენისთვემდე. მისაღები და გადასასვლელი გამოცდა ბავშვებისა მოხდება 16 და 18 ენკენისთვეს.

### ს. სიმონეთი (ქუთ. მაზ.)

◆ **გლეხების საჩივარის დაკმაყოფილება.** 1864 წელს სიმონეთის გლეხებმა შეიძინეს 377 ქცევა ნაყოფიერი სახნავი ადგილები. რამდენიმე ხნის შემდეგ თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ თავისი მამული მიჰყიდა ეჯიბეთის მემკვიდრეთ, მდიდარ აზნაურებს და გაყიდულ მამულის საზღვრებში გლეხების მამულიც დარჩა შერიცხული. რაღა თქმა უნდა, აზნაურებმა გლეხების მამულის მითვისება მოიწადინეს, მაგრამ გლეხებმა თავიანთ მამულზე ხელი არ აიღეს. საჩივარი ჰიანურდებოდა. ერთ დროს მეფის ერთ-ერთმა ნაცვალმა კანონიერად მიიჩნია გლეხების საჩივარი, მაგრამ გლეხებამდის მეფის ნაცვლის გადაწყვეტილებამ არ მიაღწია. ეხლა საქმე საბოლოოდ დასრულდა გლეხების სასარგებლოდ. კავკასიის სარევოლიუციო კომიტეტმა პორუჩიკი ს. ქორქოლიანი გაგზავნა სიმონეთში და მიანდო, რომ დაუყოვნებლივ ჩააბაროს გლეხებს მათი მამული.

### ს. სხიერი

◆ **გაზ. „საქართველოს" გაწერა.** ვასილ ალექსის ძე ხომასურიძემ გამოუწერა სხიერის წმ. გიორგის სამრევლოს გაზეთი „საქართველო".

## საქართველოს ეროვნული საბჭო

ჩვენში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელთაგან შესდგა საერთო შემათანხმებელი ცენტრი— **საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო.**

ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მიზნად ისახავს რევოლუციის დაცვას და ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიურ, კულტურულ-საზოგადოებრივ და საერთაშორისო საჭიროებათა დაკმაყოფილებას და გაძლოლას. საბჭო აერთებს ერის ცოცხალ ძალებს და ხელს უწყობს ადგილობრივ ერთა თანხმობის და კავშირის დაარსებას დემოკრატიის და თავისუფლების გასამტკიცებლად. ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უკვე შეუდგა მოქმედებას. მას ჰყავს თავისი აღმასრულებელი კომიტეტი.

ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ პეტროგრადში 12 სექტემბრისათვის მოწვეულ დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებლად აირჩია ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. მდივანი და შ. ამირაჯიბი. ისინი საბჭოს სახელით სახელმწიფოებრივ თათბირზე დაიცავენ— ძალა-უფლების გადასვლას რევოლუციური დემოკრატიის ხელში, კონტრრევოლუციასთან შეუდგარ ბრძოლას, რესპუბლიკის დაცვას, დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევას, დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას, ერთა თვითგამორკვევას, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალ თვითმართველობას, საერთოდ ყველა ერის პოლიტიკურ უფლებას და მათთან შეთანხმებით მოქმედებას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს დროებითი მისამართი: თბილისი, ფრეილინის ქ., № 12, სადეპუტატო საკრებულოს შენობა.

## ეროვნული სასკოლო საბჭო

ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა და მასთან არსებულმა საბჭომ შეიმუშავა სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. პროექტი ამ დღეებში დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა და საჩქაროთ ტარდება ცხოვრებაში. მაგრამ ნაციონალიზაციის სრული განხორციელება შეუძლებელია, თუ სათანადო ნაციონალური პროგრამები არ იქმნა შემუშავებული. ამ მიზნისთვის საჭიროა კომისარიატთან დაარსდეს ნაციონალური სასკოლო საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ეროვნული სკოლის პროგრამები, განიხილოს დამზადებული სახელმძღვანელოები, შეიმუშაოს ტერმინები, იზრუნოს სკოლის ხელსაწყო ნივთების და წიგნების დამზადებისთვის და სხ. ნაციონალურ სასკოლო საბჭოს დასაარსებლად კომისარი მიმართავს ქართულ კულტურულ დაწესებულებებს და სთხოვს გაგზავნონ ორი-სამი დელეგატი, რომელთა არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სასკოლო საბჭოსათვის საჭირონი იქნებიან სპეციალისტები სხვა და სხვა საგნებისა: ლიტერატურის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ენებისა და სხვ.

პირველი კრება დანიშნულია პარასკევს, 15 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე. ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგადოების კანცელარიაში.

## საქართველოს საეკლესიო კრება

### პირველი დღე.

პარასკევს, ენკენისთვის 8-ს მოხდა ქართულ ეკლესიის ბრწყინვალე კრების გახსნა, რომელზედაც 620 დელეგატი დაესწრო, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. კრების გახსნა მით უფრო საგულისხმიერო იყო, რომ დელეგატთა შორის იყვნენ არა მარტო სამღვდელო პირნი, არამედ თითქმის ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ერის კაცნი, ჯარის-კაცთაგან გამოგზავნილი პირები და მრავალი სხ.

წინა ღამეს, საღამოს ლოცვა ცისკრითურთ გადახდილ იქმნა ყოვლად უსამღვდელოეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს მიერ, ყოვლად სამღვდელოთა ანტონისა, პიროსისა და სხვა მაღალ სამღვდელოებათა თანამწირველობით.

ენკენისთვის 8-ს წირვაზე აურებელი ხალხი მიაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში ბილეთებით შესვლა იყო, სიონის ფართო კედლები, როგორც მისი ეზო და გარედ ქუჩა ზღვა ხალხის ტალღით ჰღელავდა.

წირვის შემდგომ თბილელ მიტროპოლიტი ლეონიდემ მთელ სამღვდელო კრებულით შემორტყმული ამბიონიდან წაიკითხა გუჯარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. გუჯრის კითხვა, როგორც განთავისუფლების ჰიმნისა, ქართველის წამებულ გულს აიაზმად ესხურებოდა, მრავალნი ცხარეს ცრემლებსა ღვრიდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავარდიაკონმა სალარიძემ უსურვა მრავალჟამიერი ქართველ ერს, მიტროპოლიტს, დამსწრეთ და „საუკუნო ხსენება" შეუთვალა უკეთილშობილეს მეფეთა ჩვენთა, მართლმადიდებლობის დამცველთ, მებრძოლთ თავისუფლებისათვის, შემდეგ გაწყვეტილ რგოლების გადასაბმელად გაიხსენა კათალიკოსი ანტონი, მიტროპოლიტი დოსითეოსი, ექვთიმე, არხიმანდრიტი ზაქარია, გრიგორი, ბერმონაზონი ფილადელფოს კიკნაძე. ასეთივე სამარადისო კურთხევა და ხსენება შეუთვალა მათ, ვინც ჰსასოებდნენ და იბრძოდნენ ავტოკეფალიისა თუ ერის აღდგენა-დიდებისთვის...

შემდეგ ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტმა ლეონიდემ დამსწრეთ მიჰმართა მხურვალე მამულიშვილური სიტყვით, რომლითაც ხალხს გაახსენებ და მომენტის დიდად მნიშვნელობას, მიულოცავდა ხალხს ეკლესიის ასი წლის ტყვეობიდან განთავისუფლებას.

დამსწრეთა სიხარულის ცრემლებს ერთგვარი შვება მიეცათ, როდესაც კათალიკოსის მოსაყდრემ სიტყვა დაამთავრა და ამბიონიდან ივ. ი. რატიშვილის მიერ წაკითხულ იქმნა „ძეგლის დება", რომელიც ჩვენს უძველეს ენაზე იყო შედგენილი. ეს იყო ფიცია ფიცი ერის წარმომადგენელთა, მაშასადამე, თვით ერისა. ყოველ სიტყვის ძეგლის დებისას დამსწრენი უხმოდ ვიქრით, წრფელის გულით და სრულის რწმენით იმეორებდა. ასეთივე ძეგლის დება წაკითხულ იქნა ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს მიერ სამღვდელოთათვის.

ამის შემდეგ თბილელმა მიტროპოლიტმა კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ საეკლესიო კრება გახსნილად გამოაცხადა. ხალხი წმ. ნინოს ხატისკენ გაემართა სამთხვეველად, ხორო გალობდა „განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმო".

იმავე საღამოს, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის სააქტო დარბაზში დელეგატთა კერძო თათბირი გაიმართა, რომელზედაც ამორჩეულ იქმნა სამანდატო კომისია და იკამათეს უმთავრესად საორგანიზაციო საკითხებზე.

### მეორე დღე.

9 ენკენ., 12 საათზე, კრება გაიხსნა სიონის ტაძარში. თავმჯდომარედ მიწვეულ იქმნა მიტროპოლიტი ლეონიდე, რომელმაც კრებას სიტყვით მიჰმართა და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. აირჩიეს პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ მიტროპოლიტი ლეონიდე, საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი დავითი, პროფ. ალ. ცაგარელი, ნიკ. ნიკ. დურნოვო. და პრ.-დოც. სენატორი ზურ. ავალიშვილი. ხოლო პრეზიდიუმის წევრებად ყოვლად სამღვდელო ანტონი, დეკ. კ. კეკელიძე, გ. დ. ქურული, სპ. კედია, მღვდ. ქრისტ. ციცქიშვილი, რაფ. ჩხოტუა და ტრიფ. ჯაფარიძე. მდივნებად მიწვეულ იქმნენ პ. ინგოროყვა, ი. ცინცაძე, კ. გაწერელია, ალ. გორგაძე, ლ. წულაძე.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მისალოცი დეპეშების ნაწილი ბერძენთა საზოგადოებიდან, ოსებისაგან, ადგილობრივ რუსთა მცხოვრებლებისაგან, ბაქოს მაჰმადიანთა სახელით თოფჩიბაშევისაგან და კერძო პირთაგან.

### საღამოს სხდომა

საღამოს კრება გაიხსნა სიონის ტაძარშივე, საათის 8. წაკითხულ იქმნა დეპეშა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტისაგან.

„ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი თავს მოვალედ ჰრაცხს მიულოცოს საქართველოს ავტოკეფალურ საეკლესიო ადგილობრივს კრებას. უძველესი ქართული ეკლესია ამიერიდან იწყებს ახალს ბრწყინვალე ცხოვრებას, როდესაც შეძლება ეძლევა სრულ ჰყოს მთელი თვისი შემოქმედებითი ძალა, რაც მთელს საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ისტორიულ სარბიელზე ეწირებოდა სამშობლო ქვეყნის კულტურულს აღორძინება-ამაღლებას, მტკიცედ ხელთ ეპყრა ქრისტეს რჯულის ანთებული სანთელი იმ შავბნელ წყვდიადსა და უკუღმართ დროსაც კი, როცა საქართველოს უბედურობა აწუხებოდა. გვწამს რა კეთილსაქმიანობა საქართველოს საეკლესიო კრებისა, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი უსურვებს მის თანხმობით მუშაობას რათა ნაყოფიერად გარდაწყდეს ყველა კითხვები ივერიის ეკლესიისა და ქართველი ერის სასახელოდ.

ამავე საღამოს დეპეშებში საგულისხმიერო იყო სარწმუნოების მინისტრ კარტაშევის მოლოცვა, რამაც დამსწრე საზოგადოებაში ერთგვარი აღშფოთება გამოიწვია, დეპეშა გამოგზავნილი იყო „ქართველ მიტროპოლიტ ლეონიდეს სახელზე".

კრება ერთხმად მოითხოვდა საპასუხო ტელეგრამაში მინისტრისთვის ეცნობებინათ ხაზგასმით, რომ ყოვლად სამღვდელო ლეონიდე თბილელი მიტროპოლიტია და არა ქართველთა. დაჯუნარების შემდეგ დეპეშა ბოლომდის წაკითხულ იქმნა. მინისტრი ცივად მადლობას უხდიდა კრებას მოწვევისათვის, დრო არა მაქვსო და თანაც მუქარას აყოლებდა: ძალით სასწავლებლების ჩამორთმევასა და ქონებათა განკარგულებას არ შევიწყნარებთო. მოგვიცადეთ, აგერ საგანგებო კომისია შესდგა პეტროგრადში, თქვენც თქვენის მხრით გამოგზავნეთ 3 კაცი, პეტროგრადში მოვილაპარაკებთ და თბილისში დავათავებთ ყოველისფერსაო. მინისტრის ასეთს დეპეშას მრავალნი გამოეხმაურნენ. დეკ. კ. ცინცაძე, როგორც მოციქულად პეტროგრადში წარგზავნილი, ირწმუნებოდა, იქ სამი კაცის გაგზავნა საქმის დასამარხვას ნიშნავს, პირად გამოცდილებიდან გეუბნებით, იქ ჩავლენ ჩვენები, მაგრამ ყურს არავინ გვათხოვებენო. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა დეკ. კალ. ცინცაძის წინადადებას. ან. ნატროშვილმა კრებას განუმარტა, ჩვენ გვემუქრებიან მხოლოდ იმითი, რომ კრედიტს აღარ მოგცემთო. მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს. ჩვენ მოვითხოვთ მონასტრის ის 150 მილიონზე მეტი ქონება, რაც აქედან იქმნა ძალით გატანილი, ვიანგარიშოთ მისი სარგებელი, ჩვენ მათსას არას ვდაობთ, არას ვართმევთ, მხოლოდ ჩვენსას ვიბარებთო. მოითხოვეს პასუხი იმავე გადაჭრით იყოს მიცემული და ისეთივე ფორმით, როგორც იკადრა თვით მინისტრმა კარტაშევმაო. რომ იცოდნენ რაც ხდება აქ, ყოველისფერი კანონიერს ნიადაგზეა, იცოდნენ ისიც, რომ ყოველი ნაბიჯი გადადგმული თბილელ მიტროპოლიტისა თუ სამღვდელოების მიერ, ხდებოდა და ხდება მთელი ერის ნების ყოფით, მისი სურვილით და არა კერძო პირთა თავგასულობითაო. საპასუხო ტექსტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს მეორე დღისათვის.

მინისტრ კარტაშევის უსიამოვნო შთაბეჭდილება განფანტა აფხაზეთი-

დან წარმოგზავნილმა მისალმებამ ანჩაბაძის მიერ, რომლითაც მოითხოვდნენ ჩვენთან ისტორიულ ძმობის აღდგენას და შეერთებას. არქ. ამბროსიმ დეპეშების ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა აფხაზეთის შესახებ, შეეხო ისტორიულად, აღნიშნა დიდი მნიშვნელობა და შინაარსი ამ დეპეშისა და თანაც ნებართვამ აილო პასუხის ტექსტი შეედგინა, ვინაიდან თვით დეპეშა მის სახელობაზე იყო გამოგზავნილი. კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. შემდეგ ჩხოტუამაც, როგორც აფხაზმა, თავის მხრით სალამი უძღვნა კრებას და ისტორიულ ფაქტად აღიარა ამიერიდან ამ ორი ხალხის ძმობის აღდგენა.

კვირის დილისა და საღამოს კრება ნაყოფიერობის მხრით ნაკლები იყო, ვიდრე წინასწარი. მოისმენილ იქმნა დეკ. კორ. კეკელიძის მიერ მისასალმებელი ტექსტი ახალ მთავრობისადმი. ტექსტის შესწორებამ დიდი კამათი გამოიწვია. შემდეგ მოისმინეს სამანდატო კომისიის წევრ დეკ. ნიკ. თალაკვაძის სიტყვა მანდატების შემოწმებაზე. ამან თავისებური კამათი გამოიწვია, რაიც საღამოთი ძლივას დამთავრდა.

ამავე საღამოს კრებას მიესალმა უდინთა ეკლესიის დელეგაცია. მათ აღნიშნეს, რომ უდინები და ქართველნი ისტორიულად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ ჟამთა უკუღმართობის გამო უდინები მოსწყდნენ საქართველოს სხეულს და მათი ეკლესიაც განმარტოვდა. ხოლო ეს გარემოება იმედს არ უკარგავდა უდინებს: ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველო აღსდგება და განახლდება! სასიხარულო ამბავმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურად გამოცხადებისამ ყველა უდინებში აღფრთოვანება გამოიწვია და მათ იმავე დროს ერთხმად დაადგინეს შეერთებოდნენ ძმურ ეკლესიას.

ქართლელი

## თბილისის ქალაქის საბჭო

**ენკენისთვის 7 სხდომა.**

(დასასრული)

ქალაქის სასურსათო კომიტეტის საფინანსო მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს სტაროსელსკი.

მარტში სას. კომიტეტის განკარგულებაში იყო 34390 ფუთი შაქარი. აპრილში კომიტეტს გაუცია 12 ათასი ფ. შაქარი, მაისში—15 ათასი ფ., ივნისში—7 ათასი ფ. სულ თბილისში 350 პურის საცხობია. უნდა დაგვერიგებია პურის ბარათები მცხოვრებთათვის და არა პურის მცხობელთათვის მიგვეცა ფქვილი ბარათებით. მაგრამ ფქვილი არ აღმოჩნდა და ეს გვიშლიდა ხელს პურის ბარათებით გაყიდვა შემოგვეღო. დღეში საჭიროა უკანასკნელი 6 ვაგონი ფქვილი, ჩვენ კი მაშინ მხოლოდ 4 ვაგონს ვღებულობდით. ახლა პურის შემოტანა თანდათან კლებულობს. თუ პურის მცხობლებს მივეცით ნება ფქვილი გაჰყიდონ, მაშინ ისინი ერთ ტომარა ფქვილზე 25 მან. იგებენ, როცა პურს ჰყიდიან, მაშინ ერთი ტომარა ფქვილი ტოვებს მოგებას 2—2½ მანეთს. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა ძნელია დღევანდელ პირობებში საზოგადოდ სურსათის შეძენა. ციმბირში ვიყიდეთ რამდენიმე ათასი ფუთი ერბო, მაგრამ გადმოტანა არ მოხერხდა, შევუკვეთეთ 85 ვაგონი ბრინჯი, ავიღეთ მხოლოდ 8 ვაგონი, ჩრდილო-კავკასიაში შევისყიდეთ 150 ვაგონი კარტოფილი 1 მ. 85 კ. ფუთი. საჭიროა კოოპერატივებთან ერთად მოქმედება, რომ ნაყოფიერი გამოდგეს მუშაობა.

ქალ. სას. კომიტეტის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი დიკმანი. კომიტეტის შემოსავალ-გასავალი ერთი მეორეს უდრის, განსხვავება არ არის ჯერ-ჯერობით. მაგრამ ახლო მომავალში ვაპირებთ გავხსნათ საპონის, ტყავეულობის და სხ. ქარხანა. ეს გამოიწვევს ხარჯებს, ამიტომ იძულებული შევიქენით საფუთო გადასახადისათვის მიგვემართა.

ფ. მახარაძე (ბოლშ.). მოხსენებებში არაფერი თქმულა ნიხრის გადიდების შესახებ. რადგანაც ერთხელ კი დაირღვა მტკიცე ფასები, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ახლა პურზე ფასის მომატება ვერ უშველის საქმეს. საჭიროა სასურსათო საკითხის ზოგად სახელმწიფოებრივ მასშტაბით განხილვა.

ზ. გვაზავა (ნ.-დ.) მოითხოვს პურის [illegible] გაყიდოს თავისი ნაწარმოები, იგი ხელს აიღებს ზედმეტ მიწის დამუშავებაზე და ამით საწარმოო ძალთა განვითარება შეფერხდება.

გ. მელიქ-კარაკოზოვი (კ.-დ.) მოითხოვს პურის ფასი გადიდებულ იქნას მცხოვრებთა ნივთიერი მდგომარეობის მიხედვით, ე. ი. ვინც მდიდარია—მეტი ფასი მისცეს პურში, ვინც ღარიბია—ნაკლები.

ნ. ელიავა. საჭიროა საბჭომ აღიაროს, რომ გირვანქა პურის ფასი 24 კ. მისაღებია. რაც შეეხება სასურსათო საქმის ქალაქის საბჭოს ხელში გადასვლას, დრ. მთავრობას ამის შესახებ ჯერ თავისი შეხედულება არ გამოუთქვამს და დეპეშით გვაცნობებს, სანამ არ გამომუშავებულა განსაკუთრებული დებულებები, ახალი ორგანოები ნუ აიღებენ თავის ხელში სასურსათო საქმესო. ყველა მთავარი სასურსათო კითხვები ირჩევა საგუბერნიო და ქალაქის სასურსათო კომიტეტების, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმისა და გამგეობის წევრთა თათბირზე. ამიტომ არ არის საჭირო ახლავე დანიშნოთ დრო, თუ როდის აიღოს ქალაქის საბჭომ სასურსათო საქმე თავის ხელში.

მეტრეხიანი (ს.-დ.) აღნიშნავს, რომ მელიქ-კარაკოზოვის წინადადება კარგია, მაგრამ ძნელი განსახორციელებელია.

გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ ყოფილი ნამესტნიკები, კერძოდ ვარანცოვ-დაშკოვი, სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ იაფი რუსული პურის შემოტანით აეძულებინათ ქართველი გლეხობა მას სხვა „მაღალ“ დარგებზე გაეცვალა პურის მეურნეობა... დღეს როცა ჩრდილო კავკასია ფულზედაც აღარ გვაძლევს პურს, საქართველომ იგემა ამ ეკონომიური პოლიტიკის ნაყოფი—შიმშილი...

რა აზრი აქვს იმაზე მსჯელობას, თუ რომელი რუსის კლასის ან წოდების ბრალია პურის გაძვირება? საქმეზე ვილაპარაკოთ... კერძოდ თბილისის გამოკვების ორგანიზაცია უნდა სავსებით ქალაქის თვითმართველობის ხელში გადავიდეს... დღევანდელი წესი მიუღებელია: სასურსათო საქმე ფაქტიურად მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დელეგატთა ხელშია და მისი მოქმედებისათვის კი ქალაქის საბჭო აგებს პასუხს მოქალაქეთა წინაშე... რაც უნდა ვცდილობდეთ ჩვენ ვერ ავიცილებთ თავიდან სასურსათო საქმის ჩაბარებას... სხვა არა იყოს რა, საქალაქო საერობო საბჭოები რომ მოეწყობა მაშინ სარაიონო სასურსათო კომიტეტები ხომ გაუქმდება და მათი საქმე საერობო საბჭოებს გადაეცემა.

დაბოლოს, გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ ახლანდელი სასურსათო კომიტეტი, ისე როგორც სხვა სარევოლუციო დემოკრატიული ორგანიზაციები, ნაკლებად ზრუნავს თავის განცხადებათა გავრცელებას ქართულ ენაზე და უფრო მეტად იხმარიებს რუსულ ენას, ვიდრე ეს ძველად იყო.

ათაბეგოვი (ბოლშ.) ამბობს, რომ ანგარიში სწორედ არ არის შედგენილი, პური 24 კ. ნაკლები დაჯდება გირვანქა და მოითხოვს ყველა პურის საცხობების მუნიციპალიზაციას.

საპასუხო სიტყვაში მ. რუხია ლაპარაკობს მხოლოდ ათაბეგოვის წინააღმდეგ, მის მიერ მოყვანილი ციფრები არც ერთი არ არის სწორიო და სინამდვილის გამოსარკვევად მოითხოვს ცალკე კომისიის შედგენას, რომელშიაც თვით ათაბეგოვიც უნდა შევიდესო.

საბჭომ დაადგინა აღიაროს გირვანქა პურის ფასი 24 კ. ნორმალურად, რაც შეიძლება მალე გადავიდეს სასურსათო საქმე საბჭოს ხელში და გამოსთქვა სურვილი დაჩქარებით მოეწყოს საერობო საბჭოები. ბოლშევიკებმა წარმოადგინეს თავისი რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნავდნენ, რომ პურის ფასის გადიდება გამოწვეულია მემამულეთა და კაპიტალისტების ინტერესებითო და მოითხოვენ დრ. მთავრობის მიერ საერთო გეგმის გამომუშავებას ნაწარმოებთა სამართლიან გასანაწილებლად.

საბჭომ მიიღო მეორე ნაწილი ბოლშევიკების რეზოლუციისა.

დასასრულ, მოხდა ქალაქის სასურსათო კომიტეტში საბჭოს წარმომადგენლების არჩევნები. აირჩიეს მ. რუხია (ს.-დ.), სტაროსელსკი (ს.-დ.), სუხოვი (ს.-რ.), ზორიანი (დაშნ.) და სემიონოვი (კ.-დ.). ბოლშევიკებმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს, ალბათ სასურსათო კომიტეტსაც „ბოიკოტს“ თუ უცხადებენ!..

## საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია

**საეპარქიო მართვა-გამგეობა.**

§ 16. საეპარქიო მმართველობის ორგანო არის **საეპარქიო კრება**, რომელიც ორგვარია: ჩვეულებრივი წელიწადში ერთხელ და არაჩვეულებრივი—საჭიროების დაგვარად. კრებას იწვევს საეპარქიო საბჭო და თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი; როცა მღვდელმთავარი არ არის, კრება თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს სამღვდელო პირთა შორის. კრებავე ირჩევს პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს და მდივნებსაც. საეპარქიო კრებას შეადგენენ: სამღვდელოთა—მონაზონთა და ერისგანთა წარმომადგენელნი. სახელდობრ: თვითეული ოლქიდან თითო მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნის მკითხველი და ორი ერისგანი, აგრეთვე ორი წარმომადგენელი ეპარქიის მონასტრებისა (ერთი ბერმონაზონი და ერთი ქალმონაზონი) და თითო წარმომადგენელი საეკლესიო სასწავლებლებისა ეპარქიაში.

§ 17. საეკლესიო კრების უფლებას შეადგენს: ა) ეპისკოპოსისა, საეპარქიო საბჭოსა და საეპარქიო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა; ბ) თვალყურის დევნება საეპარქიო ცხოვრებისა და საეპარქიო დაწესებულებათა მოქმედებისა; გ) ეპარქიის დანაწილება საოლქოებად, ან არსებულ ოლქთა გადამიჯვნა; დ) ზრუნვა საეკლესიო, სამოსწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსებისა, გაუმჯობესებისა და ნივთიერ საშუალებათა გამონახვისათვის ეპარქიაში; ე). ადგილობრივი საბჭოს მიერ შემუშავებულ წესთა და ინსტრუქციების დამტკიცება.

§ 18. საეპარქიო კრების აღმასრულებელი ორგანო არის **საეპარქიო საბჭო**. საბჭოს თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელმთავარი, ხოლო, როცა იგი არაა, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის არჩევენ თავმჯდომარეს (უსათუოდ სამღვდელო პირთაგან). ეპისკოპოსს გარდა საბჭოში შედის რვა წევრი: სამი მღვდელი, ერთი მთავარდიაკონი ან წიგნის მკითხველი და ოთხი ერისგანთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან საეპარქიო კრების მიერ სამის წლის ვადით. ამათ გარდა საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც თვით საბჭო მოიწვევს.

§ 19. საეპარქიო საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება: სარწმუნოების და ზნეობის დაცვა-გამტკიცებისათვის ზრუნვა ეპარქიაში; ბ) თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრებები ან საოლქო საბჭოები წარმოუდგენენ; დ) თვალყურის დევნება ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ე) განხილვა საკითხისა ახალი ოლქების გახსნის ან არსებულ ოლქთა შემცირებისა გინდ გაყოფისა და გადამიჯვნისა ეპარქიის ფარგლებში; ვ) მოწვევა საეპარქიო კრებისა და ამ კრებაზე განსახილველ საკითხთა წინასწარი დამუშავება; ზ) გაცემა ისეთის დოკუმენტებისა, რომელნიც მორწმუნეთა მოქალაქობრივ მდგომარეობას შეეხებიან; თ) საეპარქიო წლიურ ანგარიშის შედგენა საეპარქიო ეკლესიებისა და საკათალიკოზო საბჭოსათვის წარსადგენად; თ) ბერობისა და სასულიერო წოდებიდან განთავისუფლების შესახებ თხოვნის განხილვა და განაჩენის გამოტანა, რომელსაც მოახსენებს საკათალიკოზო საბჭოს; ი) განქორწინების საქმის დაწყება და წარმოება.

**შენიშვნა:** საბჭოში საქმეები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით. მაგრამ, როცა საბჭოსა და მღვდელმთავრის შორის უთანხმოებაა, მაშინ სადავო საქმე გადაეცემა საკათალიკოზო საბჭოს.

§ 20. **ეპისკოპოსი.** ეპისკოპოსი არის ეპარქიის სარწმუნოებრივ - ზნეობრივი ცხოვრების ხელმძღვანელი და განაგებს ეპარქიას საეპარქიო საბჭოსთან ერთად. საეპისკოპოსო კანდიდატს ირჩევს საეპარქიო კრება, ხოლო ამტკიცებს საკათალიკოზო საბჭო და ხელსდასხმას კათალიკოზი ეპისკოპოსთა კრებითურთ. საეპისკოპოსო კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული უმაღლესი განათლება და შესაფერი სღვთისმეტყველო მომზადება, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში არა უმცირეს საშუალო სღვთისმეტყველო განათლებისა; ფიზიკურად და ზნეობრივად უნდა აკმაყოფილებდეს საეკლესიო კანონთა მოთხოვნილებას.

**შენიშვნა:** საეპისკოპოსო კანდიდატისათვის ბერად შედგომა სავალდებულო არ არის.

§ 21. ეპისკოპოზს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოძღვრება; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელმოქმედების შესრულებისა; გ) ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში მორწმუნენი სალს საეკლესიო სწავლას იცავდენ; დ) მას აქვს უფლება ახსნას ქორწინების დროს ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაური კავშირიდან გამომდინარეობენ; ე) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა წევრები; ვ) მის სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდელოება; ზ) ის აძლევს დროებითს თავისუფლებას, არა უმეტეს ერთი თვისა, საეპარქიო დაწესებულებებში მოსამსახურეთ.—ეპისკოპოსი ვალდებულია: ა) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებს და ცენტრალურ საეკლესიო მმართველობის მიერ კანონიერად გამოცემულს დადგენილებათ, ხოლო, როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონისა ან დადგენილების შესახებ გაუგებრობა რამე დაიბადება, განსამარტებლად ცენტრალურ საეკლესიო მთავრობას მიჰმართოს; ბ) ცხოველი კავშირი იქონიოს სამწყსოსთან და ამ მიზნით ხშირ-ხშირად მიმოიხილოს თავისი ეპარქია; გ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და, როცა საკათალიკოზო საბჭო მიიწვევს, აღნიშნულ კრებაზე გამოცხადდეს; დ) ცენტრალური საეკლესიო მთავრობის ნებადაურთველად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ე) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოზის სახელს იხსენიებდეს; ვ) სხვა ეპარქიაში თავისი ნებით არა დაიწყოს-რა; ზ) პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელმთავრებს, საეპარქიო საბჭოებსა და საეპარქიო კრების გარდაწყვეტილებას.—როგორც საეპარქიო სასამართლოს თავმჯდომარეს, ეპისკოპოსს უფლება აქვს, ამ სასამართლოს განაჩენის თანახმად, დამნაშავე მღვდელი მღვდელმთავრობიდან განკვეთოს, ეპიტია დაადოს, ანუ მოხსნას და სხვ.

**საოლქო მართველობა**

§ 22. საეკლესიო ოლქში შედის არა უმცირეს 10-სა და არა უმეტეს 15-ს სამრევლოსისა.

§ 23. ოლქს განაგებს საოლქო კრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ოლქის თვითეული სამრევლოდან ორ-ორი ერისგანთა წარმომადგენელი და ყველა შტატში მყოფი მღვდლები, მთავარ-დიაკვნები და წიგნის მკითხველნი. კრებას თავმჯდომარეობს სამღვდელო პირი კრებისავე არჩევით. საოლქო კრებას იწვევს საოლქო საბჭო და იგი კანონიერია, თუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს ყველა წევრთა მესამედისა. საოლქო კრება არის: ჩვეულებრივი—წელიწადში ორჯელ და არაჩვეულებრივი — საჭიროებისდაგვარად.

§ 24. საოლქო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოსი და საოლქო სასამართლოს წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა, აგრეთვე არჩევა დელეგატებისა საეპარქიო და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის; ბ) ზრუნვა სამრევლოებში საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებისა და წარმატებისათვის; გ) ზრუნვა ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულთათვის და საზოგადოდ საქველმოქმედო საქმის მოწყობა ოლქში; დ) საოლქო საბჭოს მოქმედების ანგარიშთა განხილვა; ე) შუამდგომლობის აღძვრა და მოსაზრებათა წარდგენა შესახებ ახალის სამრევლოების დაარსებისა, არსებულ სამრევლოთა გაყოფისა და შემცირებისა; ვ) სასყიდლის დანიშვნა საოლქო საბჭოსი და საოლქო სასამართლოს მდივნისა და საქმის წარმოებისათვის.

§ 25. საოლქო კრების აღმასრულებელი ორგანო არის საოლქო საბჭო, რომელიც შესდგება თავმჯდომარისა (უსათუოდ მღვდელი უნდა იყოს) და ექვსი წევრისაგან (ამათში ორი მღვდელია, ერთი მთავარი დიაკონი ან წიგნის მკითხველი და სამი ერისგანი.), რომელთაც ირჩევს საოლქო კრება სამი წლის ვადით ყოველ წლის ბოლოს ერთი წევრთაგანი წილის ყრით გადის საბჭოდან, მაგრამ შეუძლიან მეორედაც არჩეულ იქმნას. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც იწვევს თვით საბჭო.

§ 26. საოლქო საბჭო: ა) ადგენს საოლქო წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საოლქო კრებასა და საეპარქიო საბჭოს; ბ) წინასწარ დაამუშავებს საკითხებს, რომელნიც საოლქო კრებას უნდა წარუდგინოს განსახილველად; გ) იწვევს საოლქო კრებას და ხელმძღვანელობას უწევს სამრევლო კრებებს ოლქში; დ) იძლევა საჭირო ცნობებს ოლქის დაწესებულებათა და მოსამსახურე პირთა შესახებ, როცა ამას უმაღლესი საეკლესიო დაწესებულებანი მოითხოვენ; ე) ზრუნავს მოაწესრიგოს კრებულის წევრთა შორის ამოვარდნილი უთანხმოებანი სამოსავლისა და საზოგადოდ სამეურნეო საქმეების გამო, აგრეთვე ამავე ხასიათის უთანხმოებანი კრებულის წევრთა და სამრევლო საბჭოებს შორის და სხვ.

**შენიშვნა:** დაწვრილებითი ინსტრუქციას საოლქო საბჭოებისათვის შეიმუშავებს საკათალიკოზო საბჭო.

(შემდეგი იქნება)

## კორესპონდენცია

### ქართლიდან

**ხოფ. მეჯვრისხევი.** 4 სექტემბერს ღამე ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ადგილობრივი კოოპერატივი. ნაღდ ფულად წაიღეს 3100 მან. და საქონელი 400 ს მანეთამდე. ეს ყოველისფერი უნდა მიეწეროს გამგეობის დაუდევრობას. განა შეიძლება 3100 მან. უბრალო ხის ყუთში შენახვა? ერთსა და იმავე შენობაში მოთავსებულია კოოპერატივი „წარმატება“ და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამ უკანასკნელსაც ეწვივნენ იმავე ღამეს, მაგრამ ვერ გასტეხეს რკინის კასსა და ამით გადარჩა წაუღებელი 6000 მანეთამდე ნაღდი ფული. ამ ორ დაწესებულებას განაგებს თითქმის ერთი და იგივე გამგეობა და ჰყავთ ერთი და იგივე თავმჯდომარე. მაშ თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოოპერატივის ფულიც შეიძლება შეენახათ ბანკის რკინის კასაში და მით აეცდინათ საზოგადოებისათვის მიყენებული თითქმის 4,000 მან. ზარალი.

„სახალხო საქმის“ 1 სექტემბრის მე 41 №-ში მოთავსებული იყო მეჯვრისხევიდან წერილი. სხვათა შორის ავტორი წერილისა „სოფლელი“ ამბობს, რომ „საამხანაგო დუქანს და ბანკს, ღვარძლიანი ადამიანების წყალობით, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვს გამოცხადებული და არ ვიცი მოკლე ხანში მრავალჟამიერს ვუმღერებთ თუ სულთათანათი გავისტუმრებთ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან!?“

თუ კი „სოფლელის“ წინასწარმეტყველობა ასე მალე ასრულდებოდა და იცოდა რამე ადგილობრივ დუქნის და ბანკის უზრდელობის შესახებ, რატომ არ გააფრთხილა ვისაცაა და შესაფერისი ღონისძიება არ მისცა, რომ ამხანაგობა გადაერჩინა ბოროტ-მოქმედებათაგან მიყენებულ ზარალისაგან.

კოოპერატივს მართებს მეჯვრის ხევის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა 4000 მან. ამ ფულის გადახდის სახით მაინც უნდა შეეტანა გამგეობას ბანკში ხსენებული დაკარგული ფული. თუ გამგეობას გადახდა არ უნდოდა ამ ვალისა, მაშინ ამავე ბანკში უნდა შეეტანა შესანახათ წიგნაკით (сберегательная книжка) და როცა დასჭირდებოდათ საქონლის მოსატანათ გამოეტანათ და ამნაირათ აეცდინოდნენ იმ უზრდელობას როგორც ამხანაგობას, ისე პირველათ ნაზიკის გადამდგმელთ ბოროტმოქმედთ, რომელიც მათ დაატყდათ თავს.

ობოლი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## კალენდარი

### სამშაბათი ენკენისთვის 12

**ართვ.** წმიდ. მღვდ.-მოწ. ავტონომესი; წმ. ალისიფოს თფილელისა (1795 წ.)

**კათოლ.** წმ. სილოვანისა.

**მაჰმად.** სე-შაბ 8 რ. ზულგიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

**ებრაელ.** ოთშელოშ 9 რ. თიშრისა 5678 ქვეყნ. შექმნ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 5, | 11.32 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8. 17 | დღ |
| „ | „ | № 17, | 8.19 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.38 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 7.41 | საღ. |
| ბაქ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.17 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.26 | დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.20 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 7.58 | დილ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კურსები

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—18

# საავადმყოფო

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოხეტიალე ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალდოვი—ქირურგ. ავად. 12—1 ათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 ათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავ. ზ. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეკზადოვი—ქალთა და საშვილო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და საშვილო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—62

# თემზის მრეწველნი

# ძმ. ძაგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

[illegible]